აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 19

7 ივნისი 2004წ. ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებისას გადასატანი ყუთის საშუალებით ხმის მიცემის უფლების მისაღებად ამომრჩევლის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისათვის მიმართვის ვადის თაობაზე**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიისათვის ამომრჩევლის მიერ გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით მიმართვის ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 19 ივნისის 18.00 საათი.

**მუხლი 2**. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: /ირაკლი ფაღავა/

კომისიის მდივანი: /გიზო მჭედლიძე/